



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

27 დეკემბერი, 2016 წელი

ქ. თბილისი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - მირანდა ერემაძე

სხდომის მდივანი - გვანცა ნიკოლიშვილი

აპელანტი - ა(ა)იპ -ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
წარმომადგენლები: გიორგი დავითური, ნინო მერებაშვილი

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
წარმომადგენელი - სალომე ბარბაქაძე

დავის საგანი – ქმედების განხორციელების დავალეზა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენით;

აპელანტის მოთხოვნა:

1. აპელანტების სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია 2016



წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.1. სასამართლომ დაადგინა, რომ 2015 წლის 10 მარტს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა სამინისტროს (გარდა სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებებისა) საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საჯარო ინფორმაციის მიწოდება:

- 1) 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 2) 2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით;
- 3) 2014 წელს მინისტრის მოადგილეებზე პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების ასლები;
- 4) 2014 წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის და ადგილის მითითებით);
- 5) 2014 წელს თანამდებობის პირების (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) მიერ ე.წ. „როუმინგულ“ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;
- 6) 2014 წელს თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა) შესახებ ჩაშლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით;
- 7) 2014 წელს გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვების სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით;
- 8) 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;
- 9) 2014 წელს შესყიდული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის და შესყიდვის ფასის მითითებით);
- 10) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სია, რომელიც 2014 წელს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);
- 11) 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული პროექტების ჩამონათვალი თითოეულზე გამოყოფილი და ათვისებული თანხის მითითებით;
- 12) 2014 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების

- ფარგლებში განხორციელებული პროექტების წარმატების შეფასების ინდიკატორები (არსებობის შემთხვევაში) და მიღებული შედეგები;
- 13) 2014 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების (შიდა, გარე, სახელმწიფო და არასახელმწიფო) აქტები;
- 14) 2015 წლის 10 მარტის მდგომარეობით, შტატით გათვალისწინებულ და შტატგარეშე თანამშრომელთა (ცალ-ცალკე) რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
- 15) 2015 წლის 10 მარტის მდგომარეობით, ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზემოთ) დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში (მამაკაცთა და ქალთა რაოდენობა);
- 16) 2014 წელს განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა განთავისუფლების მიზეზების მიხედვით;
- 17) 2013-2014 წლებში დასაქმებული და განთავისუფლებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადება (ს.ფ. 13-14);

2.2. 2015 წლის 14 აპრილს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადებით მოითხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვა.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 14 აპრილის №OPDCPT15-004 ადმინისტრაციული საჩივარი (ს.ფ. 16-21).

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

სასამართლომ განმარტა შემდეგი:

2.3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიმრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ამრიგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალური მოქმედების (რეალაქტის) განხორციელებით, ან ასეთი მოქმედების განუხორციელებლობით

დაინტერესებული პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის სამართლებრივ საშუალებას, კერძოდ, განმცხადებელს უფლება აქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, მოქმედების განხორციელების (რასაც მოცემულ შემთხვევაში აქვს ადგილი), ან მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნით. ქმედების განხორციელების თაობაზე სარჩელი წარმოადგენს მავალდებულებელი სარჩელის ერთ-ერთ სახეს, რომლის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. განსახილველ შემთხვევაში, ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სასარჩელო მოთხოვნის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მის მიერ 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის - 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემის დავალება. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოპასუხეს კანონით დადგენილ ვადაში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ წარდგენილ განცხადებაზე პასუხი არ გაუცია.

2.4. სასამართლო მიუთითებს, რომ ინფორმაციის თავისუფლებას საქართველოს კონსტიტუცია გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. ინფორმაციის თავისუფლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცალკეული ინდივიდის პიროვნული და ინტელექტუალური განვითარებისათვის. დემოკრატიული წესწყობილებისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა. სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტებიდან ინფორმაციის მიღება ექვემდებარება კანონისმიერ მოწესრიგებას. საჯარო ინფორმაციის მიღების უფლება არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. გამჭვირვალობის საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით განისაზღვრა ინფორმაცია, რომლის ღიაობა არ აღემატება ინფორმაციის გასაიდუმლოების ინტერესს.

ინფორმაციის თავისუფლების ზემოაღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი - საჯარო ინფორმაცია, თუ ის არ წარმოადგენს საიდუმლო ინფორმაციას, ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო

უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამრიგად, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი განამტკიცებს „ოფიციალური დოკუმენტის“ და „ოფიციალური ჩანაწერის“ (თავისი შინაარსით, იდენტური ცნებებია) ხელმისაწვდომობას ნებისმიერი მსურველთათვის, თუ ის არ შეიცავს საიდუმლო მონაცემებს.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

აღნიშნული მუხლის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული კანონმდებლობა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების სუბიექტად საჯარო დაწესებულებას მიიჩნევს მხოლოდ საჯარო დაწესებულებაში დაცულ, აგრეთვე, საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ოფიციალური დოკუმენტაციის მიმართ. საჯარო ინფორმაციის ამგვარი სახით არსებობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მის მომთხოვნზე გასცეს იგი სრულყოფილი სახით.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნაა 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების მიწოდება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ელექტრონული დოკუმენტი არის ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული

მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამავე მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მატერიალური დოკუმენტი არის ქაღალდზე ან სხვა მატერიალურ მატარებელზე წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. ამდენად, ელექტრონული დოკუმენტი მატერიალური დოკუმენტისაგან განსხვავდება მხოლოდ არსებობის ფორმით, ხოლო მათი შინაარსობრივი განმარტება იდენტურია. სასამართლოს მოსაზრებით, როგორც ელექტრონული, ისევე მატერიალური დოკუმენტი, საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, თუ იგი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის დამუშავების, შენახვის, დაცვის და ა.შ. ვალდებულება კანონმდებლობით აკისრია საჯარო დაწესებულებას.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე მიუთითებს, რომ რამდენადაც მის მიერ მოთხოვნილი, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული, ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებას, მოქმედი კანონმდებლობით მიჩნეულია ღია საჯარო ინფორმაციად და ექვემდებარება გაცემას. სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავს, რომ ინფორმაციის საჯარო ინფორმაციად არსებობისათვის აუცილებელია დადგინდეს ყველა სავალდებულო ელემენტის არსებობა, კერძოდ, ინფორმაცია უნდა იყოს სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი და ამასთან, ამ ინფორმაციას უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტის სახე. ელექტრონული ფოსტა, თავისი არსით, არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებაა და წარმოადგენს დროებით ჩანაწერს, რომელიც გამოიყენება შუალედური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით და მასში გადაწყვეტილებები არ არის დაცული. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია არ ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, არ წარმოადგენს რაიმე ოფიციალური ხასიათის გადაწყვეტილების შემცველ ინფორმაციას/დოკუმენტს. ამგვარ ინფორმაციას საერთოდ არ აქვს დოკუმენტის სახე. შესაძლებელია, ის შეიცავდეს საქმესთან დაკავშირებულ ფასეულობას, მაგრამ საჯარო დაწესებულების უფლებამოსილ პირს მისი შენახვის ვალდებულება არ წარმოეშობა. ელექტრონული ფოსტა, რომლის გაგზავნაც კანონმდებლობით დადგენილი უფლების რეალიზების ან ვალდებულების შესრულების მიზანს არ ემსახურება და არ აისახება ოფიციალურ დოკუმენტში, არ ჩაითვლება სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებად. თავის მხრივ, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ფოსტა, როგორც წერილობითი კომუნიკაციის საშუალება ორ ან მეტ პირს შორის, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით, რაც გულისხმობს კომუნიკაციის თავისუფლების დაცვას გარეშე პირთა არასასურველი ჩარევისაგან. კომუნიკაციის თავისუფლება ინდივიდს აძლევს შესაძლებლობას თავად განსაზღვროს კომუნიკაციის შინაარსი და პარტნიორი. ტექნიკური საშუალებით საუბრისა და ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლებით დაცულია კომუნიკაციის ორივე პარტნიორი მათ ერთობლიობაში. შესაბამისად, ელექტრონული მიმოწერის შინაარსის გაცნობა/გამჟღავნება, ანუ დაცულ სფეროში ჩარევა ვერ განხორციელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ-ერთი მიმოწერის მხარე გარეშე პირს აძლევს

კომუნიკაციის შინაარსის გაცნობის უფლებას.

აქვე, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საქმისწარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები; ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით, თუკი დაინტერესებული პირის მიერ არჩეული არ არის ამ თავით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების სხვა ფორმა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი. დოკუმენტის ელექტრონულ ასლსა და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც ამ დოკუმენტს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ან გაცემულ დოკუმენტში მონაცემები შეიძლება შეტანილ იქნეს მექანიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც რეგისტრირდება უწყების მიერ მომზადებული ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, იმ პირობებში, როცა საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს დოკუმენტის მხოლოდ საბოლოო სახე, რომელიც აისახება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში და არა - მის შესაქმნელად წარმოებული მოსამზადებელი (სამუშაო) მასალა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული წერილები არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რის გამოც მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოკლებული იყო განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

2.5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹ მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

საქმეში არსებული მასალებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ვერ განიხილება ოფიციალურ ჩანაწერებად, ანუ ოფიციალურ ჩანაწერებში დაცულ საჯარო ინფორმაციად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ არ არსებობს მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების საფუძველი, სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:

ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები:

3.1. აპელანტი განმარტავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. ამ დასკვნის გამოტანისთვის სასამართლო იყენებს რამდენიმე არგუმენტს. აპელანტს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების არგუმენტაცია არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ელექტრონული ინფორმაცია გაგებულია, როგორც ელექტრონული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც უნდა წარმოშობდეს სამართლებრივ შედეგს, ხოლო ამ უკანასკნელის განმარტებისათვის გამოყენებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის „ა.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტები. აპელანტს მიაჩნია, რომ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ საქართველოს კანონში გამოყენებული ტერმინების განმარტება რელევანტური შეიძლება იყოს მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში დამუშავებული ელექტრონული დოკუმენტებისთვის. ეს კანონი ვერ დაავიწროებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განმტკიცებული საჯარო ინფორმაციის ცნებას.

აპელანტი ასევე მიუთითებს, რომ საჯარო ინფორმაციის დანიშნულებას წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურების ანგარიშვალდებულების გაზრდა, გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით და 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების, კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია. სზაკ-ის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტში ნახსენები ტერმინი „ელექტრონული ინფორმაცია“ განმარტებული უნდა იქნეს სწორედ აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, ავტონომიური შინაარსით. კერძოდ, ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოა ელექტრონული ინფორმაციის იურიდიული მხარე, კერძოდ, რამდენად ადასტურებს იგი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს თუ იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს. საჯარო (ელექტრონული) ინფორმაციის შინაარსი, რათქმა უნდა მოიცავს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს, მაგრამ ამ შინაარსით არ ამოიწურება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის სიტყვები „ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიოჩანაწერები) გრძელდება კავშირით ანუ და დაზუსტებულია რომ ეს (ელექტრონული) ინფორმაცია არის საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია. ამკარაა, რომ აღნიშნული მუხლი არ შეიცავს მითითებას რაიმე სახის იურიდიულ შედეგებზე, ან ელექტრონული ინფორმაციის რომელიმე კატეგორიაზე.

აპელანტი ასევე მიუთითებს, რომ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა არის საქმეთა ადმინისტრირების ერთ-ერთი ფორმა და იგი ვერ იქნება საჯარო ინფორმაციის ბუნების განმსაზღვრელი. ამდენად, უმნიშვნელოდ იმისა თუ რამდენად არის კონკრეტული ინფორმაცია ასახული დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში, საჯარო ორგანოს ეკისრება ინფორმაციის გაცემის ვალდებულება თუ იგი მოიცავს სზაკ-ის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის ნუსხაში.

აპელანტი ასევე არ იზიარებს მოსაზრებას, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა არის კომუნიკაციის არაფორმალური საშუალება. სამსახურებრივი ელფოსტა გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისთვის, ხოლო სამსახურებრივი მიზანი არაფორმალური ვერ იქნება. ხოლო სახელმწიფო რესურსის არასამსახურებრივი მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია და ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. ყურადსაღებია, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა დაკავშირებულია კონსტიტუციის მე-20 მუხლთან (პირად ცხოვრებასთან). კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა წარმოადგენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დამდგენ კონსტიტუციურ გარანტიას, ამდენად უნდა შეფასდეს რამდენად მოიცავს პირადი ცხოვრებით დაცულ სფეროს სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით წარმოებული კომუნიკაცია. სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა გულისხმობს ამ ელექტრონული რესურსის კონკრეტული, სპეციფიკური მიზნით გამოყენების აუცილებლობას. პირადი ელექტრონული ფოსტისგან განსხვავებით, სამსახურებრივი ფოსტა მიმართულია სამსახურებრივი ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებისაკენ. ამ ფორმით განხორციელებული კომუნიკაცია მკაცრად არის დაკავშირებული სამსახურებრივად დაკისრებული ვალდებულებების შესრულებასთან და ამდენად, მისი ბუნება, თავის თავშივე გამორიცხავს ამ ელექტრონული რესურსის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას. გაუმათლებელი და დაუსაბუთებელია მტკიცება, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტა შეიძლება/დასაშვებია გამოყენებულ იქნეს პირადი, არასამსახურებრივი მიზნებისთვის, მით უმეტეს ამგვარი დაშვებით საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა. ამდენად, აპელანტს მიაჩნია, რომ შეუძლებელია ადამიანის პირადი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქნეს გაგებული სამსახურებრივი მეილით მიღებული ან გაგზავნილი ინფორმაცია თუ დოკუმენტაცია მაშინ როდესაც ეს რესურსი მკაცრად არის დაკავშირებული თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივად შესასრულებელ ვალდებულებებთან. თავის მხრივ ამგვარი ვალდებულების ფარგლებში შექმნილი და დამუშავებული ინფორმაცია, როდესაც საკითხი სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ ნებისმიერი ფორმით არსებულ ინფორმაციას ეხება, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის გამოყენებით გაგზავნილი შეტყობინებები თავისთავად არის ელექტრონული ფორმით არსებული საჯარო ინფორმაცია, რომელიც იწახება შესაბამის სერვერზე (და არა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში). მიუხედავად იმისა, რომ როგორც სარჩელში ისე საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელემ დაასაბუთა, მოთხოვნილი ინფორმაციის საჯარო ხელშემა, საქმის განმხილველმა მოსამართლემ არ გაითვალსიწინა მოყვანილი არგუმენტაცია.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. იმავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ფაქტობრივი დასაბუთება:

4.1. დადგენილია, რომ 2015 წლის 10 მარტს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა სამინისტროს (გარდა სსიპ-ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებებისა) საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ, 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები;

4.2. 2015 წლის 14 აპრილს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა მოითხოვა.

4.3. მოპასუხეს კანონით დადგენილ ვადაში ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების

განვითარების ინსტიტუტის მიერ წარდგენილ განცხადებაზე პასუხი არ გაუცია.

სამართლებრივი დასაბუთება:

4.4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

ამავე კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განხორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან. პალატა განმარტავს, რომ ქმედების განხორციელების თაობაზე აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების კანონისმიერი საფუძვლები კუმულაციურია, კერძოდ, საჭიროა ა) უარი ქმედების განხორციელებაზე იყოს კანონსაწინააღმდეგო და ბ) იგი პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

4.5. სააპელაციო სასამართლო იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ემყარება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს და მოსარჩელის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის მის მიერ 2015 წლის 10 მარტის №OPD03/15-015 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაციის - 2015 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემის დავალება.

4.6. მოცემულ საქმეზე, პალატა საჭიროდ მიიჩნევს, საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობის კანონიერების საკითხი. ამისათვის, პალატა, პირველ რიგში, მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციაზე, რომელიც ინფორმაციის

თავისუფლების მაღალ გარანტიებს შეიცავს, კერძოდ, აღნიშნულის მარეგულირებელი ნორმები მოცემულია კონსტიტუციის 24-ე და 41-ე მუხლებში.

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა იძლევა შესაძლებლობას ნებისმიერი პირისათვის, რათა მან ნებისმიერი (კანონიერი) საშუალებით მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. „აღნიშნული უფლების განხორციელება, ძირითადად, თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტივობაზეა დამოკიდებული, სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ვალდებულია ეკისრება, რომ ხელი არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია, გამოთქვას თავისი მოსაზრება, აგრეთვე არ შეიზღუდოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცენზურის დაწესებით“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის N2/3/364 გადაწყვეტილება.)

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის გამოთხოვა, პალატა სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელ კონკრეტულ ნორმად, უპირველესად მიიჩნევს კონსტიტუციის 41-ე მუხლს, რომლითაც უზრუნველყოფილია საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში (N2/3/364) განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას, სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“

ცალსახაა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას - გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში

ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის სამართლებრივ მოწესრიგებაში. ხოლო აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით (ინფორმაციის თავისუფლება). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი შეესაბამება კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელის ან შესაბამისი უფლებამოსილი პირის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლების გაცემაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

4.7. პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ როგორც ელექტრონული, ისევე მატერიალური დოკუმენტი, საჯარო ინფორმაციისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, თუ იგი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის დამუშავების, შენახვის, დაცვის და ა.შ. ვალდებულება კანონმდებლობით აკისრია საჯარო დაწესებულებას.

პალატა უპირველესად განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულებისთვის გასცეს საჯარო ინფორმაცია მოთხოვნილ ინფორმაციას უნდა გააჩნდეს მატერიალური ხასიათი და დაცული უნდა იყოს საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, ასევე აუცილებელია, კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას გააჩნდეს მოთხოვნილი სახით ინფორმაციის მოძიებისა და შექმნის ვალდებულება.

ამასთან, პალატა ვერ გაიზიარებს აპელანტის მითითებას და განმარტავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან განხორციელებული გზავნილების საჯარო ინფორმაციად მიჩნევა თავისთავად არ არის დაკავშირებული მხოლოდ მასში დაცული ინფორმაციით წარმოშობილ სამართლებრივ შედეგთან. პალატა სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ ელექტრონული ფოსტა, თავისი არსით, არაფორმალური კომუნიკაციის საშუალებაა და წარმოადგენს დროებით ჩანაწერს, რომელიც გამოიყენება შუალედური ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით და მასში გადაწყვეტილებები არ არის დაცული. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია არ ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, არ წარმოადგენს რაიმე ოფიციალური ხასიათის გადაწყვეტილების შემცველ ინფორმაციას/დოკუმენტს. ამგვარ ინფორმაციას საერთოდ არ აქვს დოკუმენტის სახე. შესაძლებელია, ის შეიცავდეს საქმესთან დაკავშირებულ ფასეულობას, მაგრამ საჯარო დაწესებულების უფლებამოსილ პირს მისი შენახვის ვალდებულება არ წარმოეშობა. ელექტრონული ფოსტა, რომლის გაგზავნაც კანონმდებლობით დადგენილი უფლების რეალიზების ან ვალდებულების შესრულების მიზანს არ ემსახურება და არ აისახება ოფიციალურ დოკუმენტში, არ ჩაითვლება სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებად.

პალატა იზიარებს აპელანტის მოსაზრებას, რომ შესაძლოა საჯარო ინფორმაცია არ იყოს ასახული/შენახული ადმინისტრაციული ორგანოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში, თუმცა თავისი არსით წარმოადგენდეს საჯარო ინფორმაციას. მოცემულ პირობებში, ვინაიდან პალატას მიაჩნია, რომ სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტიდან გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები არ ექცევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის განსაზღვრულ კატეგორიაში, უსაფუძვლოა აპელანტის მითითება. ამასთან, პალატა სრულად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობას, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, რომელშიც რეგისტრირდება უწყების მიერ მომზადებული ნებისმიერი ოფიციალური დოკუმენტი, მათ შორის, შიდა რგოლის თანამშრომლების მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები. შესაბამისად, იმ პირობებში, როცა საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს დოკუმენტის მხოლოდ საბოლოო სახე, რომელიც აისახება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში და არა - მის შესაქმნელად წარმოებული მოსამზადებელი (სამუშაო) მასალა, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი და მიღებული წერილები არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რის გამოც მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოკლებული იყო განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

5.1. ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას. პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძველები.

6. საპროცესო ხარჯები:

6.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სარჩელზე უარის თქმისას სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო ამავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს მოიცავს სახელმწიფო ბაჟი, რაც მოსარჩელე მხარის მიერ გადახდილია დავის საგნის მოცულობის პროპორციულად. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გახდილი 150 (ასორმოცდაათი) ლარი, უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. აპელანტების - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სააპელაციო საჩივარი, არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.

მოსამართლე



მირანდა ერემაძე

ასლი დედანთუგნ სწორი
თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
15
სალომონა: 21-162-17 2016 წ.